




საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გოცირიძე მიხეილ გერასიმეს ძე



მ. გოცირიძე „გულაბი-ლული“ 1968

გოცირიძე მიხეილ გერასიმეს ძე (8. XI. 1901, თბილისი, – 25. V. 1975, იქვე), სცენოგრაფი, კინოს მხატვარი. საქართვ. დამს. მხატვარი (1962). 1922-25 სწავლობდა თბილ. სამხატვრო აკადემიაში, 1923-იდან მონაწილეობდა სამხატვრო გამოფენებში. 1925-იდან მხატვრად მუშაობდა თბილ. თეატრებში. გააფორმა სპექტაკლები: „უჩინმაჩინი“, „ნატვრისთვალი“, „ჩვენი ნაცნობები“, „ორი რეკორდი“ – მეს. კომედიის თეატრში: „რობინ ჰუდი“, „სურამის ციხე“, „ლადო კეცხოველი“, „ნაცარქექია“, „კომბლე“ – თბილ. მოზარდ მაყურებელთა ქართ. თეატრში და სხვ. 1929-იდან იყო დამდგმელი მხატვარი კინოსტუდია „ქართულ ფილმში“; გააფორმა ფილმები: „ბანაკი მთაში“ (1930), „უდაბნო“ (1932), „უშმური“ (1934), „მდინარის იქით“ (1935), „ორი მეგობარი“ (1936), „ქაჭეთი“ (1936), „დაგვიანებული სასიძო“ (1939), „გიორგი სააკაძე“ (1942-43), „ქალის ტვირთი“ (1957), „ორი ოჯახი“ (1958) და სხვ. მუშაობდა დაზგურ ფერწერასა და გრაფიკაში.

ა. გვენცაძე